აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 23

16 ივნისი 2004 წ ქ. ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის სპეციალური ჯგუფების შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

2. სხვადასხვა

მოისმინეს:	უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი აჭარის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისათვის სპეციალური ჯგუფების შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრმა სიმონ ჩხაიძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სპეციალური ჯგუფების შემადგენლობის დამტკიცებას კენჭი უნდა უყაროთ და კომისიის შემადგენლობა წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" შესაბამისად, ჩვენ არ ვიცნობთ წარმოდგენილ შემადგენლობას, არ გვაქვს დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენლი პირების შესახებ. მინდა ავღნიშნო, რომ თუ ეს პიროვნებები არ არის შეყვანილი ზემოთ ხსენებული კანონისა და ჩვენს მიერ მისაღები დადგენილების შესაბამისად, იქნება გასაჩივრებული და ამოვარდება ყველა ის პირი, ვინც კანონის დარღვევითაა შესული ამ სიაში.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

2. სხვადასხვა

მოისმინეს	უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე მოისმინეს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, ვალერი გიორგაძის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან საძოვრებზე გასული კონტინგენტის რაოდენობის შესახებ რაიონების მიხედვით. მან აღნიშნა, რომ ჯამში მათი რაოდენობა 9000 ამომრჩეველს აღწევს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე